რაც უნდა ვიცოდეთ მსხვერპლშეწირვის შესახებ

بسم الله الرحمن الرحيم

الفرقان

ალ-ფურყან

შესავალი

მსხვერპლშეწირვის პირობები.....3

მსხვერპლშემწირავის პირობები.....3

არის თუარა ყურბან ბაირამი აუცილებელი?.....4

შესაწირი ცხოველის ასაკი.....7

შესაწირი ცხოველის ხარვეზები.....8

სიტყვის წარმოთქმა მსხვერპლშეწირვისას.....9

სავალდებულოა თუ არა ბისმილლაჰ წარმოითქვას მსხვერპლშეწირვისას?.....11

მსხვერპლშეწირვის ფორმა.....11

სასურველია საკუთარი მსხვერპლად შეწირული ცხოველის ხორცის დაგემოვნება.....12

ერთ ცხოველზე მეტის მსხვერპლად შეწირვა.....13

სხვერპლშეწირვა როცა გაქვს ვალი.....13

მსხვერპლშეწირვა გარდაცვლილისთვის.....13

ერთი შესაწირი ცხოველი ადამიანზე და მის ოჯახზე.....15

ცოტაოდენ თმებსა და ფრჩხილების შესახებ, ვინც წირავს მსხვერპლს.....15

თუ დაიდო აღთქმა მსხვერპლშეწირვისთვის და

ხორცის სრულად გაცემისთვის, მაშინ არ ჭამო ეს ხორცი.....16

მსხვერპლშეწირვა ქალისგან და მისგან, ვისაც აქვს დედათა წესი.....17

ის შეწირავს ცხოველს მაგრამ მას კონკრეტულად არ უყიდია ის.....18

შეიძლება თუარა შევუკვეთოთ წიგნის ხალხს ჩვენი მსხვერპლშეწირვის შესრულება?.....18

ერთი ცხვარი როგორც ყურბანისთვის ასევე 'აყიყასთვის.....18

მსხვერპლშეწირვის პირობები

1) მსხვერპლშეწირვა უნდა შესრულდეს მხოლოდ ალლაჰისთვის და მისი კმაყოფილებისთვის!
2) საკლავი პირუტყვი უნდა ეკუთვნოდეს მას, ვინც ასრლებს მსხვერპლშეწირვას. არ შეიძელაბა იმის შეწირვა რომელიც შენ არ გეკუთვნის.
3) ცხოველი უნდა იყოს შესაბამისი შესაწირი:
აქლემი, ძროხა, თხა და ცხვარი.
4) ცხოველი უნდა იყოს განსაზღვრული ასაკის.
5) მდგომარეობა მისი უნდა იყოს აშკარა და სერიოზული ხარვეზების გარეშე.
6) მსხვერპლშეწირვა უნდა შესრულდეს სადღესასწაულო ლოცვის შემდეგ და გრძელდება თაშრიყის ბოლო დღემდე.
7) მისი დაკვლისას უნდა წარმოითქვას ალლაჰის სახელი (ესარის ბევრად სანდო აზრი).
8) მსხვერპლად შეწირულ ცხოველისგან უნდა დაიღვაროს სისხლი.
9) უნდა იქონიო სათანადო განზრახვა: თუ ყურბანია, ესეიგი ყურბანია, თუ ალ-'აყიყაა, მაშინ ალ-'აყიყაა.

მსხვერპლშემწირავის პირობები

1) ის უნდა იყოს მუსლიმი (ან მუსლიმი ქალი) თუ ეს არის ყურბანი, ხოლო ჩვეულებრივი მსხვერპლშეწირვა შეუძლია წიგნის ხალხსაც.
2) ის უნდა იყო საღი აზროვნების.
3) ის უნდა იყოს ზრდასრული ასაკის.

არის თუარა ყურბან ბაირამი აუცილებელი?

ضَحَّى النَّبِيُّ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ بِكَبْشَيْنِ أَمْلَحَيْنِ أَقْرَنَيْنِ ذَبَحَهُمَا بِيَدِهِ وَسَمَّى وكَبَّرَ ووَضَعَ رِجْلَهُ عَلَى صِفَاحِهِمَا

გადმოგვცემს იმამ ალ ბუხარი ანანსისაგან, (رضي الله عنه) მოციქულმა ﷺ თავისი ხელებით შეწირა მსხვერპლი ორი მამალი ცხვარი, წარმოთქვა ალლაჰის სახელი და განადიდა ის, დააბიჯა ფეხი მას (ერთ მხარით) სახეზე/კისერზე.

ასევე გადმოსცა იმამ აჰმადმა და ათთირმიზმა იბნ 'უმარიაგან (رضي الله عنه) რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ იცოცლა მადინაში 10 წელი, (და ყველა წელს) წირავდა მსხვერპლს. (ჰადისი კარგია)

უმეტესი სწავლული თვლის რომ მსხვერპლშეწირვა ეს არის მტკიცე სუნნა. ეს არის მაზჰაბი აშ შაფი'ის, მალიქის (ერთერთი ვერსიით) აჰმადის (ერთერთი ვერსიით), 'ატას, ისჰაყის, აბუ საურის, და სხვების. ეს ასევე გადმოცემულია აბუ ბაქრ ას სიდიყისგან, 'უმარ ალ ფარუყისგან, ბილალისა და აბუ მას'უდ ალ ბადრისგან, დაე ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი.

სხვებმა ჩათვალეს რომ ეს არის სავალდებულო. ეს აზრია აბუ ჰანიფის (მათთვის, მუსაფირისთვის არარის აუცილებელი), აჰმადის, ერთერთი ვერსიით, ას საურის, რაბი'ას, ალ-ავზა'ის, ალ-ლეისის და სხვების. ეს აზრი აიღო შეიხულ ისლამმაც.

უმეტესთა მტკიცებულებები:

1) ჯაბირის ჰადისიდან "სუნანში" და იბნ ხუზეიმისგან გადმოცემული, რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ შეწირა მსხვერპლი მისი ოჯახისთვის და მთლიანი უმმასთვის.

-თქვა იმამ აზ ზარყაშმა:
და მან ჩვენთაგან ვინც არ შეწირა მსხვერპლი, საკმარისია მისთვის მოციქულის ﷺ შეწირული მსხვერპლი. ანუ ეს რომ ყოფილიყო ვალდებულება რატომ შეწირავდა მოციქული ﷺ მსხვერპლს მთელი უმმასთვის.

2) გადმოსცა იმამ მუსლიმმა უმმ სალამასგან, (رضي الله عنه) რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა:

إذا دخلت العشر, وأراد أحدكم أن يضحي فلا يمس من شعره وبَشَرِه شيئا

როცა დადგება ზულ ჰიჯას პირველი ათდღეული და თუ რომელიმე თქვენგანს სურს მსხვერპლშეწირვა დაე მან არ შეეხოს (არ მოიჭრას) თავის თმებს და არ შეეხოს კანს, (ანუ რაცარის მის სხეულის კანზე)

სხვა ვერსიაში მუსლიმისა და აჰმადის მიერ ნათქვამია: **დაე არ მოიჭრას თავისი თმები და ფრჩხილები.**

და ამ მხარის სწავლულებმა უპასუხეს, რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ დაუკავშირა მსხვერპლშეწირვა ადამიანის სურვილს, თქვა: **"თუ რომელიმე თქვენგანი მოისურვებს მსხვერპლშეწირვას"**.. აქედან გამომდინარე, ეს რომ ყოფილიყო სავალდებულო, მაშინ არჩევანი/სურვილი მსხვერპლშეწირვის არ იქნებოდა გათვალისწინებული.

იბნ თაიმიამ და სხვა სწავლულებმა მეორე მხრიდან (ჯგუფიდან) უპასუხეს: რომ უბრალო ხსენებაა **"...ვინც თქვენგან მოისურვებს"** ეს არ მიუთითებს ვალდებულების გამორიცხვას, რამეთუ სურვილი შეიძლება იქნას მოხსენიებული აუცილებელშიც თან, როგორც მაგალითად უზენაესის სიტყვები: **"ჰეი თქვენ რომელთაც ირწმუნეთ, როცა თქვენ მოისურვებთ ლოცვაზე დადგომას, მაშინ დაიბანეთ თქვენი სახე..."** ამ აიათში აზრი მიდის სავალდებულო ლოცვაზე და მოხსენიებული სურვილი აქ არ მიუთითებს იმას, რომ ლოცვის ვალდებულება შეწყდა. სურვილი მოიხსენიება გააზრებულად თაყვანისცემის შესრულებაზე, მეტი თუ არაფერი.

მაგალითად თუ მე ვიტყვი: **"ძმაო თუ მოისურვებ დილის ლოცვის ორი რაქა'ათის შესრულებას, დაე შეასრულე ის გულმოდგინედ"**. აქ აშკარაა რომ, ორი რაქა'ათი დილის ლოცვის, არ შეწყვეტილა მსგავსად რომ ის აღარყოფილიყო ლოცვის ბურჯები, ხოლო სურვილი კი მოხსენიებული იქნა იმ მიზნისთვის, რომ ყოფილიყო მითითება საყურადღებოდ, ან თაყვანისცემის დროის მითითებისთვის. მაგალითად: "თუ გსურს ჭამა, დაიბანე ხელები მანამდე", ნიშნავს რომ: "როცა შენ დააპირებ ჭამას, მანამდე დაიბანე ხელები". ასევე ჰადისი: **"ვისაც სურს შეასრულოს აღ ჯუმუ'ა, დაე მან განიბანოს."** ამ ჰადისში სურვილი არ ქმნის აღ-ჯუმუ'ას სასურველს. (ანუ მისი ჰუქმი არ ხდება მხოლოდ სურვილისამებრ შესასრულებელი.)

3. გადმოცემულია ხუზაიფა იბნ ასიდ აღ ღიფარისგან, რომელმაც თქვა:

رَأَيْتُ أَبَا بَكْرٍ وَعُمَرَ رَضِيَ اللهُ عَنْهُمَا وَمَا يُضَحِّيَانِ مَخَافَةَ أَنْ يُسْتَنَّ بِهِمَا

მე მოვესწარი აბუ ბაქრსა და 'უმარს, რომლებიც არ ასრულებდნენ მსხვერპლშეწირვას, იმის შიშით, რომ ხალხი გაყვებოდა მათ (მსხვერპლშეწირვის ვალდებულებაში)

აღ ჰაფიზ იბნ ხაჯარმა დაადასტურა ამ ჰადისის სანდოობა.

სავალდებულოდ ვინც თვლის მათი მტკიცებულებები

I) იმამ აღ ბაზზარმა გადმოგვცა აბუ ჰურაირასგან რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ უბრძანა მათ მსხვერპლშეწირვა. მაგრამ ეს ჰადისი არარის სანდო.

2. გადმოგვცემს იმამ აჰმადი, იბნ მაჯა და სხვები, აბუ ჰურაირასგან რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა: **"დაე განშორდეს ჩვენს სათაყვანო ადგილს მან, ვისაც ქონდა შესაძლებლობა და არ**

შეწირა მსხვერპლი" მაგრამ უფრო სარწმუნოა ის, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის თვითონ აბუ ჰურაირას, როგორც ეს თქვა ჰაფიზ იბნ ჰაჯარმა.

3) გადმოგვცა ალ ბუხარიმ ჯუნდუბისგან, რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა: ვინც შეწირა ცხოველი (სადღესასწაულო) ლოცვამდე, დაე მასთან ერთად (შეწირულ ცხოველთან) შეწიროს სხვა და ვისაც საერთოდ არ შეუწირია ცხოველი, დაე მან ახსენოს ალლაჰის სახელი"

ისინი ამბობენ: აქ პირდაპირი ბრძანებაა მსხვერპლშეწირვის, ყურბანის და ასევე ბრძანება ამ პროცედურის გამეორების თუ ეს იქნა შესრულებული ლოცვამდე.

მაგრამ, მეორე მხარემ უპასუხა ამას, რომ აქ ბრძანება ეხება მათ, ვისაც სურს მიიღოს ჯილდო, ანუ აზრი მდგომარეობს ჯილდოს მიღების შესაძლებლობაზე, ჰადისი არ ეხება მათ ვისაც არ სურს ამ ჯილდოს მიღება.

პირველი მხარის პასუხი კი ასეთია: თუ აქ ნამდვილად საუბარია ჯილდოს მიღებაზე, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს ბრძანების განმეორებას მეორეჯერ მსხვერპლის შეწირვისთვის, არააქვს აზრი საერთოდ ბრძანებას!

4) უზენაესის სიტყვა სურა ქავსარში:

فَصَلِّ لِرَبِّكَ وَانْحَرْ

ილოცე შენი ღმერთისთვის და მას დაუკალი შესაწირი!

იმამ ალ ქასანი ამბობს რომ, აქ საუბარია ყურბანზე. მაგრამ სხვები, როგორც იბნ ხაზზმი, ალ ყურტუბი და ალ მავარდი ამბობენ, რომ აქ აზრი მდგომარეობს ზოგადად მსხვერპლშეწირვაზე და არა კონკრეტულად ყურბან ბაირამზე.

ჩვენ მოვიხსენიეთ მხოლოდ საფუძვლიანი მტკიცებულებები მხარეების, მაგრამ არის ასევე დამატებითი.

შესაწირი ცხოველის ასაკი

ცხვარი: ხანაფიტებში და ჰამბალიტებში არის მინიმუმ ნახევარი წლის.

თხა: ერთი წლის, ჰანაფიტებში, შაფი'იტებში და ჰანბალიტებში. 2 წლის მალიქიტებში.

ძროხა: ორი წლის, ეს არის ჰანაფიტების, შაფი'იტების და ჰამბალიტების აზრი, სამი წლის - მალიქიტების.

აქლემი: ხუთი წლის, ეს არის ჰანაფიტების, შაფი'იტების, ჰამბალიტების და მალიქიტების აზრი.

მსხვერპლშეწირვა არიქნება მიღებული, თუ ეს ცხოველები იქნება ამაზე პატარა, ესაა ბევრი სწავლულის აზრი.

წყარო:

1. ბადაი'უ ას სანაი' იმამ აბუ ბაქრ ალ ქასანი ალ ჰანაფის.

2. ალ ბაჰრ არ რაიყ იმამ ზეინუდდინ იბნ ნადჯიმა ალ ჰანაფი.

3. ატ ტადჯ ვა ალ იყლილ იმამ მუჰამმად იბნ იუსუფ ალ ღარნატ ალ მალიქი.

4. მაჯმუ' - იმამ ან ნავავი.

5. ალ მუღნი, იმამ იბნ ყუდამას.

შესაწირი ცხოველის ხარვეზები

'უბეიდ ბინ ფეირუზმა თქვა:

قلت للبراء حَدِّثني عما نهى عنه رسول الله صلى الله عليه وسلم من الأضاحيقال : قام رسول الله صلى الله عليه وسلم فقال : أربع لا يجزين : العوراء البين عورها ، والمريضة البين مرضها والعرجاء البين ظلعها ، والكسيرة التي لا تُنقي

მე ვკითხე ალ ბარას: მიამბე მე როგორი ცხოველის შეწირვა აკრძალა მოციქულმა ﷺ ყურბნისთვის. მან მითხრა: ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა: ოთხი ცხოველი აკრძალულია მსხვერპლად:
ცხოველი რომელიც ბრმაა ცალი თვალიდან, რომლის სიბრმავე შესამჩნევია;
ავადმყოდი ცხოველი, რომლის ავადმყოფობა არ იწვევს ეჭვს;
კოჭლი ცხოველი, რომლის სიკოჭლეც გხვდება თვალში; და
მოხუცი ცხოველი რომელსაც უკვე არ შერჩა ტვინი".

ჰადისი გადმოსცა აჰმადმა, აბუ დაუდმა, ათ თირმიზმა, ან ნასაიმ, და იბნ მაჯამ. ათ თირმიზმა და იბნ ჰიბანმა უწოდეს ჰადისს სანდო.

ეს 4 აღწერა არის ხელშემშლელი მსხვერპლშეწირვისთვის. არის მონაცემები, რომლებიც წარმოადგენს სრულყოფილებას (მსხვერპლშეწირვისთვის), მთლიანობა: კბილების, რქების, ყურების და სხვა მსგავსი...პატარა ხარვეზები არ ახდენს შესაწირი ცხოველის არა სანდოობას.

ეს პატარა ხარვეზები არ ახდენენ გავლენას მსხვერპლშეწირვის სანდოობაზე, მაგრამ თუ არ იქნება ეს პატარა ხარვეზები, ეს უკეთესია.

ჰადისის სიტყვები: **"ცხოველი რომელიც ბრმაა ცალი თვალიდან, რომლის სიბრმავე შესამჩნევია;"** - აქ საუბარია აშკარა ხარვეზზე, როგორიც არის როცა ცხოველი დაკარგავს ცალ თვალს, მაგრამ თუ ცხოველს არ დაუკარგავს თვალი ბოლომდე, ან რომ ვთქვათ, თვალს აქვს გარკვეული სითეთრე, როგორც ამბობს იმამ იბნ ყუდამა: ასეთი ცხოველი გამოდგება მსხვერპლშეწირვისთვის. (იხ. ალ მუღნი ტომ 9. კითხვა 7861)

შემდეგ სიტყვა: **"ავადმყოდი ცხოველი, რომლის ავადმყოფობა არ იწვევს ეჭვს" ან "რომლის ავადმყოფობაც აშკარაა" ..**
როგორც ამბობს იმამი იბნ ყუდამა "ალ მუღნიში" 9 ტომში, კითხვა 7861, აქ საუბარია ისეთ ავადმყოფობაზე, რომელისგანაც გამოჯამრთელებაზე არარის იმედი, ასეთი ავადმყოფობა ახდენს მნიშვნელობას ცხოველის ხორცზე.
იმამ ალ ყადი იიადმა თქვა: ავადმყოფობაში აქ იგულისხმება კანის დაავადება დერმატიტი, რომელიც ახდენს გავლენას ცხოველზე და ის სუსტდება და რის შედეგადაც ხორცი ხდება

ცუდი. ამ აზრზე იყვნენ იმამ შაფი'ის თანმხლებლები. მაგრამ სხვა სწავლულებმა გააკრიტიკეს ეს აზრი და თქვეს, რომ: ჰადისის ეს ტექსტი არის ზოგადი, და ირთავს ყველა დაავადებას, არარის სავალდებულო მხოლოდ კანის დაავადება.

შემდეგ სიტყვები: **"კოჭლი ცხოველი, რომლის სიკოჭლეც გხვდება თვალში..."**
ეს ისეთი სიკოჭლეა, რომელიც არ აძლევს მას საშუალებას შეუერთდეს ნახირს, ანუ აშკარა სიკოჭლის გამო ის როცა ჩამორჩება ნახირს, ასეთი სიკოჭლე ასევე ახდენს გავლენას ცხოველის ხორცზე. ხოლო თუ სიკოჭლე არარის შესამჩნევი და ის არაფერში არ უშლის ხელს ცხოველს რომ შეუერთდეზ ნახირს, ნებადართულია ასეთი ცხოველის მსხვერპლად შეწირვა. (იხ. ალ მუღნი ტომი 9. კითხვა 7861)

შემდეგ სიტყვა: **"მოხუცი ცხოველი რომელსაც უკვე არ შერჩა ტვინი"**.
საუბარია ისეთ ცხოველზე, რომლის გახდომის შედეგად მან დაკარგა ძვლის ტვინი.
(იხ. ალ მუღნი იმავე გვერდზე)

სიტყვის წარმოთქმა მსხვერპლშეწირვისას

გადმოცემულია სანდო ჰადისში:

باسم الله والله أكبر

სახელითა ალლაჰისა! ალლაჰი დიდებულია!
(აჰმადი, აბუ დაუდი, ათ თირმიზი, ან ნასაი, ად დარაყუტნი, ალ ჰაქიმი და სხვები)

სხვა ჰადისში არის დამატება:

اللَّهُمَّ مِنْكَ وَلَكَ

ო ალლაჰ, ეს არის შენსგან და შენთვის!
(გადმოსცა იმამ ალ ბაიჰაყმა)

გადმოცემულია სხვა ჰადისში, სადაც ალლაჰის მოციქულმა ﷺ მსხვერპლშეწირვისას თქვა:

باسم الله وَاللهُ أَكْبَرُ اللَّهُمَّ تَقَبَّلْ مِنِّي

სახელითა ალლაჰისა! ო ალლაჰ, მიიღე ჩემსგან.
(მუსლიმ)

იმამ ან ნავავიმ, ამ ჰადისის კომენტარში თქვა: ამ (ჰადისში) შემდეგი სიტყვების გარდა **"ბისმილლაჰ ალლაჰუ აქბარ"**, სასურველია წარმოითქვას ასევე: **"ო ალლაჰ, მიიღე ჩემსგან."**

სიტყვები ბისმილლაჰ ალლაჰუ აქბარ წარმოითქმება ყველა მსხვერპლშეწირვისას, არა მარტო ყურბანის დროს.

დაკვლის დროს სასურველია ითქვას: **"ბისმილლაჰ, ვა ალლაჰუ აქბარ. ალლაჰუმა მინქა ვა ლაქ. ალლაჰუმა თაყაბბალ მინნი ვა აჰლი ბაითი"**
განმარტება: სახელითა ალლაჰისა, ალლაჰი დიდებულია! ო ალლაჰ ეს შენსგანაა და შენთვისაა. მიიღე ეს ჩემსგან და ჩემი ოჯახისგან."

ან: **"ბისმილლაჰ ალლაჰუ აქბარ. ალლაჰუმა თაყაბბალ მინნი ვა აჰლი ბაითი."** მინიმუმ უნდა თქვა **"ბისმილლაჰ"**.

ჰანბალიტების მიხედვით, უნდა თქვა კონკრეტულად "ბისმილლაჰ", ხოლო მალიქიტების მიხედვით შეიძლება თქვა "სუბჰან ალლაჰ" ან "ალლაჰუ აქბარ", "ბისმილლაჰს" გარეშე. უკეთესია ითქვას "ბისმილლაჰ".

ხოლო თუ თქვენ კლავთ ცხოველს ვინმესთვის, მაგალითად აჰმადისთვის, წარმოთქვით იგივე რაც ზემოთ ითქვა მაგრამ, ამ სიტყვების "ალლაჰუმა თაყაბბალ მინნი ვა აჰლი ბაითი" ნაცვლად თქვით: "ალლაჰუმა თაყაბბალ მინ აჰმად" (ო ალლაჰ, მიიღე აჰმადისგან)

სავალდებულოა თუ არა ბისმილლაჰ წარმოითქვას მსხვერპლშეწირვისას?

შაფი'იტების მიხედვით "ბისმილლაჰ" სიტყვის წარმოთქმა არის სასურველი.

ჰანაფიტების, მალიქიტების და ჰამბალიტების მიხედვით: "ბისმილლაჰ" არის პირობა, მაგრამ თუ დაგავიწყდა არარის საშიში.

ზოგის აზრით ბისმილლაჰ ეს არის პირობა ყველა სიტუაციაში, არააქვს მნიშვნელობა, დაავიწყდა მას წარმოთქმა თუ არა. ეს აზრი აიღი შეიხულ ისლამმა და ეს ვერსია გახლავთ მალიქისა და აჰმადის.
ალ ბუხარი გადმოსცემს იბნ 'აბბასის (رضي الله عنه) ნათქვამს: არარის პრობლემა იმაში, როცა დაგავიწყდათ (წარმოთქმა სიტყვა "ბისმილლაჰ"მსხვერპლშეწირვისას) , ასევე თქვა იმამმა იბნ ჯარირ ათ თაბარიმ, იბნ ყუდამამ და სხვებმა.

თქვა იმამმა იბნ 'აბდილ ბარრმა: "ბისმილლაჰ" სიტყვის წარმოთქმა დაკვლისას არის სუნნა და ეს რომ ყოფილიყო სავალდებულო, არ მოიხსნებოდა ვალდებულება (ბისმილლაჰ-ის წარმოთქმა) მაშინ, როცა ავიწყდებათ ამის შესრულება, რამეთუ დავიწყებაზე არ იხსნება ვალდებულება.

მსხვერპლშეწირვის ფორმა

გადმოსცა იმამ მუსლიმმა რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა: ჭეშმარიტად ალლაჰმა დაგიწესათ კეთილი ქცევა ყოველივე საქმეში. ასერომ როცა თქვენ კლავთ (მაგალითად გველს) შეასრულეთ ეს საუკეთესო ფორმით, ხოლო როცა წირავთ მსხვერპლს, ალესეთ დანა და გაადვილეთ მსხვერპლშეწირვა.

I.სასურველია, რომ ცხოველი დაკვლის წინ მიმართული იყოს ყიბლის მიმართულებით.

2.დანა უნდა იყოს ბასრი, რომ არ დაიტანჯოს ცხოველი ბლაგვი დანით.

3.დაკვლა უნდა მოხდეს ხელსაყრელ მდგომარეობაში, როგორც ცხოველისთვის ასევე მისთვის ვინც კლავს.

4.თუ აქლემია, უკეთესია მისი დაკვლა მიბმული. თუ ეს არარის შესაძლებელი მაშინ აქლემი უნდა ჩაჯდეს მუხლებზე, რათქმაუნდა ესეც თუ შესაძლებელია. სხვა ცხოველები სასურველია დაიკლას მარჯვენა მხარზე.

5.სასურველია დაბიჯება ფეხის ცხოველზე (თუ შესაძლებელია) კისრისა და გულმკერდის მიდამოებში, რადგანაც იყოს ხელსაყრელი ყელის გაჭრა.

6.არარის საჭირო დაჯდომა ცხოველზე, ან მისი დაბლოკვა ისე, რომ მას არ შეეძლოს გაქანება. მან უნდა იმოძრაოს, რამეთუ ესარის მიზეზი სისხლდენის, სხვა შემთხვევაში სისხლი დარჩება ხორცში.

7.უნდა გაიჭრას ყელი საყლაპავთან, არუნდა მოტყდეს თავი ცხოველს, რადგან ცხოველის ტვინი დაკარგავს კავშირს ძვლის ტვინთან, და ის არ გაინძრევა, ამ შემთხვევაში სისხლი დარჩება ხორცში.

8.არუნდა დავანახოთ დანა ცხოველს დაკვლამდე.

9. არუნდა მოხდეს ცხოველის მსხვერპლად შეწირვა სხვა ცხოველების თვალწინ.

სასურველია საკუთარი მსხვერპლად შეწირული ცხოველის ხორცის დაგემოვნება.

გადმოცემულია იმამ აჰმადისგან, ათ თირმიზისგან, იბნ მაჯასგან, იბნ ჰიბანისგან, ალ ჰაქიმისგან, ალ ბაიჰაყისგან და სხვებისგან:

عَبْدِ اللَّهِ بْنِ بُرَيْدَةَ، عَنْ أَبِيهِ، أَنَّ رَسُولَ اللَّهِ صَلَّى اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ «كَانَ لَا يَخْرُجُ يَوْمَ الْفِطْرِ حَتَّى يَطْعَمَ، وَلَا يَأْكُلُ يَوْمَ النَّحْرِ شَيْئًا حَتَّى يَرْجِعَ فَيَأْكُلَ مِنْ أُضْحِيَّتِهِ»

აბლულლაჰ ბინ ბურაიდისგან, მან კი თავისი მამისგან: ალლაჰის მოციქული ﷺ არ გამოდიოდა რამადნის ბაირამზე თუარ წაისემსებდა და არ ჭამდა მსხვერპლშეწირვის დღესასწაულზე სანამ არ დაბრუნდებოდა უკან (მსხვერპლშეწირვის შემდეგ) და არ დააგემოვნებდა ხორცს მსხვერპლად შეწირულის.

იმამ იბნ მულაქინმა უწოდა ჰადისს სანდო.

თქვა იმამ ალ ბაიჰაყმა:

والسنة في عيد الأضحى أن لا يأكل حتى يذبح أضحيته بعد الصلاة ثم يرجع فيأكل من كبد أضحيته

სუნნაა მსხვერპლშეწირვის დღეს, საკვების არ მიღება სანამ ადამიანი არ შეწირავს საკუთარ ცხოველს, შემდეგ იქიდან დაბრუნებულმა უნდა დააგემივნოს თავისი დაკლული ხორცი.

უმმა არის ერთსულოვან აზრზე რომ ეს არის სუნნა, მაგრამ თუ ადამიანი ძალიან ძლიერ არის მშიერი ან მწყურვალე, მას შეუძლია დალიოს და დანაყრდეს!

ერთ ცხოველზე მეტის მსხვერპლად შეწირვა

ორ სახიხში მოყვანილია ჰადისი ანას ბინ მალიქისგან, რომელმაც თქვა: ალლაჰის მოციქულმა ﷺ შეწირა მსხვეროლად 2 ცხვარი და მე შევწირე მსხვერპლად 2 ცხვარი.

მოციქულმა ﷺ შეწირა 2 ცხვარი და ანასმაც მისდია მის მაგალითს და მანაც შეწირა 2 ცხვარი, ეს არის მტკიცებულება იმის, რომ არარის შეზღუდვა რაოდენობაში.

სხვერპლშეწირვა როცა გაქვს ვალი.

თუ ვალი არის გადადებული და ის არ მოქმედებს მსხვერპლშეწირვაზე, მაშინ შეიძლება მსხვერპლშეწირვის შესრულება. მაგრამ თუ მან უნდა დაუბრუნოს ვალი აუცილებლად და ეს აისახება მის მსხვერპლშეწირვაზე, ამ შემთხვევაში უნდა დაუბრუნოს ვალი.

მსხვერპლშეწირვა გარდაცვლილისთვის.

პირველი, მსხვერპლს წირავენ ცოცხალისთვის და არა გარდაცვლილისთვის. ეს არის დაწესებული შარი'ათში და ამაზე მოვიდა მოციქულისგან ﷺ, ეს ასევე არის სუნნა ჩვენი მამის იბრაჰიმის (عليه السلام). მსხვერპლშეწირვა ეს არის გამოსასყიდი ცოცხალზე.

მეორე, ალლაჰის მოციქულმა ﷺ დააწესა მისი მიმდევრებისთვის მოწყალება გარდაცვლილის სახელით, მაგრამ არა მსხვერპლშეწირვა.

სახიხ ალ ბუხარიში გადმოცემულია, რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ შეწირა ცხვარი და გასცა მოწყალება თავის ცოლისთვის ხადიჯასთვის (მისი სახელით), მაგრამ არ შეუწირია მსხვერპლი მისთვის და მისი სხვა ნათესავისთვის, რომლებიც გარდაიცვალნენ თავის სიცოცხლეში...

ამაში რომ ყოფილიყო სიკეთე, სალაფები აუცილებლად გაგვაფრთხილებდნენ ამის შესახებ ჩვენ, რამეთუ ისინი ყველაზე მეტად ცდილობდნენ სიკეთის გაკეთებას, როგორც ეს თქვა აბუ ჰურაირამ, (رضي الله عنه).

იმამ ათ თირმიზმა თქვა: ზოგიერთმა სწავლულმა დაუშვა გამონაკლისი და დართო ნება გარდაცვლილის სახელით მსხვერპლშეწირვა, სხვებმა კი არ ჩათვალეს ეს დაშვებულად. იმამ 'აბდულლაჰ იბნ ალ მუბარაქმა თქვა: " მე ვთვლი რომ (გარდაცვლილისთვის) გაიცეს სადაყა და არ მოხდეს მასთვის (მისი სახელით) მსხვერპლშეწირვა."

რაც შეეხება ჰადისს 'ალისგან (رضي الله عنه) რიმელმაც შეწირა 2 ცხვარი, ერთი მისთვის და მეორე მოციქულისთვის ﷺ და როცა ჰკითხეს მას ამაზე, მან უპასუხა: მე მებრძანა მოციქულისგან ﷺ ასე მოვქცეულიყავი და მე არავითარ შემთხვევაში არ მივატოვებ ამას." ჰადისი გადმოსცა იმამმა აბუ დაუდმა და ათ თირმიზმა. მას შემდეგ რაც იმამმა ათ თაირმიზმა მოიყვანა ეს, თქვა: "ეს უცნაური ხადისია და ის ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ შურაიქის გადმოცემისგან." ის კი სუსტი გადმომცემია. ჰადისი რომც იყოს სანდო, ის არ გამოდგება როგორც არგუმენტად, მასში მხოლოდ არის მითითება მოციქულის ﷺ დანაბარების შესრულებისა.

აბუ დაუდის ვერსიაში 'ალიმ (رضي الله عنه) თქვა: მოციქულმა ﷺ მიბრძანა შემეწირა მისთვის (მისი სახელით) მსხვერპლი".

რაც შეეხება გარდაცვლილის ჩართვას მსხვერპლშეწირვაში ეს არის ნებადართული, ალლაჰის მოციქულის ﷺ ქმედებიდან გამომდინარე. რაც ითქვა ზემოთ (გარდაცვლილის სახელით მსხვერპლშეწირვის შესახებ) ეხება სპეციალურად დაწესებულ მსხვერპლშეწირვას გარდაცვლილის სახელით, მისი დანაბარების გარეშე. და ალლაჰთან არის ყოვლის ცოდნა.

ერთი შესაწირი ცხოველი ადამიანზე და მის ოჯახზე

თქვა იბნ 'აბდ ალ ბარმა ალ ისთიზქარ~ში: თქვა მალიქმა: დაშვებულია ადამიანისთვის შეწიროს მსხვწრპლად აქლემი ან ძროძა, მისიდან და მისი სახლის მკვიდრთაგან, ისინი რომც იყვნენ დიდი ოჯახი....

აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როცა ადამიანი შეწირავს მისთვის ერთ ცხვარს, და ეს ირთავს მის ოჯახსაც. ანუ, ერთი ცხვარი/თხა არ გულისხმობს ერთ ადამიანს მხოლოდ, ერთი ცხვარი~ერთი ოჯახიდან. მაგალითად თუ ზაიდმა შეწირა I ცხვარი, ეს ირთავს ასევე მის ოჯახსაც, ანუ მის ოჯახმა შეწირა ერთი ცხვარი, თუნდაც ოჯახში იყვნენ I00 ადამიანი. I აქლემი კი შეუძლია 7 ოჯახმა შეწიროს, თუნდაც თითოეული ოჯახში იყოს I00 ადამიანი.

ამის მტკიცებულებად არის ჰადისი, გადმოცემული იმამ მუსლიმისგან, 'აიშასგან (رَضِيَ اللهُ عَنْه) როცა მოციქულმა ﷺ შეწირა ცხვარი და მიმართა უზენაეს ალლაჰს: "...ო ალლაჰ! მიიღე მუჰამმადისგან და მუჰამმადის ოჯახისგან..."

ჩვენ კი ვიცით რომ მუჰამმად ﷺ ჰყავდა 9 ცოლი, პლიუს შვილებიც. აქიდან გამომდინარე ნაჩვენებია რომ, ცხოველის შეწირვა ხდება არა მხოლოდ ერთი ადამიანისგან, არამედ მთელი ოჯახისგან.

გადმოსცა იმამ ათ თირმიზმა, 'აჯაბინ საიბასგან ნათქვამი:

მე ვკითხე აბუ აიუბ ალ ანსარის როგორ სწირავდნენ მსხვერპლს ალლაჰის მოციქულის ﷺ დროს? მან კი მიპასუხა: **"ადამიანი წირავდა ერთ ცხვარს მისთვის და მისი ოჯახისთვის."**

ცოტაოდენ თმებსა და ფრჩხილების შესახებ, ვინც წირავს მსხვერპლს.

თუ დადგინდა ზულ ჰიჯას თვის დასაწყისი მთვარის გამოჩენით, ან 30 დღის შესრულებით ზულ ყა'დას და ვინმე თუ მოისურვებს მსხვერპლის შეწირვას, აკრძალულია შეხება, (გაპარსვა, მოჭრა) თმების, ფრჩხილების, ან რაიმეს სხეულიდან, სანამ ის არ შეწირავს მსხვერპლს. ეს არის ჰადისის მიხედვით რომელიც გადმოსცა უმმ სალამამ (رَضِيَ اللهُ عَنْه), სადაც ალლაჰის მოციქული ﷺ ამბობს:

"როცა იხილავთ ზულ ჰიჯას მთვარეს", სხვა ვერსიაში ნათქვამია: **"როცა დაიწყება (ზულ ჰიჯას) ათდღეული და ვისაც ენდომება მსხვერპლის შეწირვა, დაე მან არ მოიჭრას მისი თმები და ფრჩხილები."** გადმოსცა მუსლიმმა და აჰმადმა.

სხვა ვერსიაში გადმოცემულია რომ: "დაე არ შეეხოს საკუთარი თმებსა და ფრჩხილებს სანამ არ შეწირავს მსხვერპლს".

სხვა ვერსიაში ნათქვამია: **"დაე არ მოიჭრას თავისი თმებიდან და კანიდან."**
თუ ამ ათდღეულში (ზულ ჰიჯა) განიზრახა მსხვერპლშეწირვის შესრულება, დაე შეიკავოს თავი ამ ყველაფრისგან მისი განზრახვიდანვე (მსხვერპლშეწირვის). არარის მასზე ცოდვა თუ მან მოიჭრა რაიმე განზრახვამდე.

ეს ეხება მხოლოდ მათ ვინც წირავს მსხვერპლს. ხოლო თუ მსხვერპლს წირავენ მისთვის, მაშინ გაპარსვის/მოჭრის აკრძალვა მას არ ეხება, რამეთუ მოციქულმა ﷺ თქვა: **ვისაც სურს მსხვერპლის შეწირვა**..და არ უთქვამს: **"ვისაც სურს რომ მისთვის შეწირონ მსხვერპლი"**.

ალლაჰის მოციქული ﷺ წირავდა თავისი ოჯახისთვისაც და არარის გადმოცემა რომ მას მათთვის მოეწოდებინა თავშეკავებისთვის (შეჭრა, გაპარსვა და ა.შ.). ამიტომ ოჯახის წევრთათვის ნებადართულია ამ 10 დღის განმავლობაში შეიჭრან თმები, ფრჩხილები, და მოიცილონ (მკვდარი კანი) სხეულისგან.

თუ ის ვისაც განზრახვა აქვს მსხვერპლშეწირვისთვის მოიჭრის თმებს ან ფრჩხილს და კანს, დაე მან მოინანიოს ალლაჰის წინაშე და არ დაუბრუნდეს ამ ქმედებას და არარის მასზე ქაფფარათი (გამოსასყიდი) და ეს შესრულებული ცოდვა არ ანთავისუფლებს მას მსხვერპლშეწირვისგან.

არარის მასზე ცოდვა ვინც ეს შეასრულა დავიწყებით, უცოდინრად ან თმები ჩამოვარდა თავისით. თუ ის საჭიროებს (რაიმეს ზემოთხსენებულთაგან) როგორც მაგალითად, თუ მისი ფრჩხილები ტყდება, რაც არის მიზეზი მისი ტანჯვის, ან თმები ფარავს მის თვალებს, ან ის საჭიროებს თმების შეჭრას სამკურნალოდ იარისთვის, მაშინ მან შეასრულოს ეს.

თუ დაიდო აღთქმა მსხვერპლშეწირვისთვის
და ხორცის სრულად გაცემისთვის,
მაშინ არ ჭამო ეს ხორცი.

თუ შენ გაქვს აღთქმა რომ უნდა შეასრულო მსხვეროლშეწირვა და უნდა გასცე ეს ხორცი, მაშინ ნუ შეჭამ მას, დაე გაეცი ისე, როგორი აღთქმაც გქონდა, ხოლო თუ უბრალოდ მსხვეროლშეწირვის აღთქმა გქონდა, მაშინ შეგიძლია დააგემოვნო ხორციც.

მსხვერპლშეწირვა ქალისგან და მისგან, ვისაც აქვს დედათა წესი.

იმამ ალ ბუხარი გადმოსცემს რომ, ქა'ბ ბინ მალიქის მონა ქალი მწყემსავდა ცხვრებს, რა დროსაც ერთერთი ცხვარი დაზიანდა, ამ ქალმა შეწირა ეს ცხვარი მსხვერპლად, ამის შესახებ აცნობენ მოციქულს ﷺ და მან ﷺ თქვა: ჭამეთ ის.

იმამ ბუხარმა ამ თავს დაარქვა ერთერთი თავი სახიხის: **"თავი მსხვერპლშეწირვა ქალებისგან და მონა ქალებისგან"**

ალ.ჰაფიზ იბნ ხაჯარმა თქვა: ალ ბუხარის სიტყვების კომენტარისას: "მისი სიტყვები "თავი მსხვერპლშეწირვა ქალებისგან და მონა ქალებისგან", ის ამით ეწინააღმდეგება მათ სიტყვებს, ვინც კრძალავს ამას.
მუჰამმად ბინ 'აბდულ ჰაქიმმა გადმოსცა მალიქისგან ამის არასასურველობა, ხოლო "ალ-მუდავანა"- ში ამის ნებადართვა.
ერთერთი აზრი შაფი'იტების არის რომ: არასასურველია ქალმა შეწიროს უდხია.
სა'იდ იბნ მანსურისგან სანდო ისნადით გადმოცემულია, იბრაჰიმ ან ნაჰა'ისგან მოყვანილია, რომ რაც შეეხება უდხიას ქალებისგან და არასრულწლოვნებისგან მან თქვა: არარის პრობლემა თუ მას შეუძლია მსხვერპლის შეწირვა, წარმოთქვამს ბისმილლაჰს". ეს აზრია უმეტესობის...

აქიდან გამომდინერეობს ნებადართულობა ქალის მიერ დაკლული ხორცის ჭამა და არააქვს მნიშვნელობა ეს ქლი არის მონა თუ თავისუფალი მუსლიმი, დიდი თუ პატარა, მუსლიმი თუ ქითაბიიაჰ (წიგნის ხალხთაგან), სუფთაა მენსტრუაციიდან თუ არა, რამეთუ ალლაჰის მოციქულმა ﷺ მიუთითა ეჭამათ ხორცი, რომელიც ამ ქალმა დაკლა და მას არაფერი არ დაუდასტურებია (გამოუკვლევია) მის შესახებ სხვა. ამაზე პირდაპირ მიუთითა აშ შაფი'მა. ამაზე არიან უმეტესი სწავლულები.
ალ ფათხ 9/782

იმამმა იბნ ყუდამამ თქვა: ხორცი რომელიც დაკვლა ქალმა რომელსაც ქონდა მენსტრუაცია, ნებადართულია, რამეთუ ის მსგავსია როგორც დიდი განბანვის არქონისა.

იმამ ან ნავავიმ თქვა ალ მაჯმუში: იბნ ალ მუნზირმა გადმოსცა, ერთსულოვანი აზრი მსხვერპლშეწირვის ვისაც არ აქვს დიდი განბანვა, და თქვა: თუ ყურანმა დაუშვა წიგნის ხალხისგან დაკლული ხორცი, იმის მიუხედავად რომ ისინი არიან ნაჯასები (უწმინდურები) მაშინ (ხორცი) არსებული სუნნას გარეშე (ანუ განბანვა) ნებადართულია მით უფრო. მან ასევე თქვა: ქალს რომელსაც აქვს ხაიდა (მენსტრუაცია), ის მსგავსია ჯუნუბის (რომელსაც არააქვს დიდი განბანვა).

იმამმა ალ ბუჰუტიმ თქვა: შარხში ალ-მუნტაჰა: ამ ჰადისში არის მტკიცებულება ალის მიერ მსხვერპლად შეწირული ხორცის ნებადართვაზე, ასევე მონა ქალის, ასევე მისი ვისაც აქვს მენსტრუაცია და ვინც იმყოფება ჯუნუბი.

ის შეწირავს ცხოველს მაგრამ მას კონკრეტულად არ უყიდია ის

მსხვერპლშესაწირი ცხოველი ყოველთვის გეკუთვნის შენ, თუნდაც შენ მამამ გადაიხადოს ფული. ვისაც სურს მსხვერპლშეწირვა არ მოიჭრას თმები და ფრჩხილები. რაც შეეხება ცხოველს, ის გეკუთვნის შენ დაე ალლაჰმა შეგიწყალოს შენ, არააქვს მნიშვნელობა მისი ფული შენ გადაიხადე თუ არა (კონკრეტულად).

შეიძლება თუარა შევუკვეთოთ წიგნის ხალხს ჩვენი მსხვერპლშეწირვის შესრულება?

მალიქიტების და ერთერთი ვერსიით აჰმადის აზრით ასეთი მსხვერპლშეწირვა მიუღებელია, მათი ხორცი რომც იყოს ჰალალი.

იმამ მუჰამმად ალ ხარაშიმ ალ მალიქმა შარხში "მუხტასარ ხალილ" თქვა: ნაიბი (ანუ შემცვლელი) აუცილებლად უნდა იყოს მუსლიმი და დაწესებულია რომ არუნდა შეუკვეთო ქააფირს ხორცის დაკვლა, ის რომც იყოს წიგნის ხალხთაგან, იმიტომ რომ მსხვერპლშეწირვა ესარის ყურბა (ალლაჰთან დაახლოება) ხოლო ქააფირი არარის ყურბას რიგებიდან. მაგრამ არაა პრობლემა თუ ქააფირი დაანაწევრებს და გაანაწილებს ხორცს. მთავარი აზრი ისარის რომ ქააფირის დაკლული შესაწირი ცხოველი არანამდვილს ხდის თვითონ ყურბანს და არა თვითონ ხორცს. ასეთი საქმე არის ჰადიუ (მსხვეეპლშეწირვა ხაჯის დროს) და ფიდია (გამოსასყიდად შეწირული მსხვერპლი ჰაჯის დროს) და აყიყა.

ერთი ცხვარი როგორც ყურბანისთვის ასევე 'აყიყასთვის

შაფი'იტებისა და მალიქიტების აზრით და ერთერთი ჰამბელიტების აზრით, არ შეიძლება ორი ნიათის გაერთიანება ერთ შესაწირ ცხოველში. ან უნდა იყოს ყურბანისთვის ან 'აყიყასთვის. ისინი ამბობენ რომ ეს თაყვანისცემის ფორმა თვითონ თავისთავად იტარებს კონკრეტულ მიზანს, შეწირო ერთი სული ალლაჰს.

ჰამბალიტებისა და ჰანაფიტების აზრით, შესაძლებელია შეწირო ერთი ცხვარი შემდეგი განზრახვით, როგორც ყურბანის ასევე 'აყიყას. რამეთუ მიზანი აქ არარის თვითონ ყურბანი,

მიზანია ცხოველის დაკვლა. მათ ეს შეადარეს მეჩეთის მისასალმებელ ნამაზს. რამეთუ მეჩეთში შესვლილსას უნდა შეასრულო რაიმე ლოცვა, არააქვს მნიშვნელობა კონკრეტულ მიზანს, მთავარია შეასრულო. თუ შეასრულებ დუხას მეჩეთში, მაშინ მასში ირთვება ასევე თახიიაჰც თან. იმამ მუჰამმად ბინ მუჰამმადიც ამ აზრზეა.

მეორე აზრი გადმოცემულია ისეთი თაბიინებისგან როგორიც: ალ ხასან ალ ბასრი, მუჰამამდ ბინ სირინი, ყატადა და ჰიშამ ბინ 'ურვაჰ.

ქება დიდება ალლაჰს სამყაროთა ბატონს, მისი ლოცვა და კურთხევა მაცნე მუჰამმადს, მის სახლეულს, მის ერთგულ თანმხლებლებს და ყოველივე მათ, ვინც გაჰყვა მას!

الفرقان
ألف - ثاء - راء - قاف - ألف - نون